## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/148

ქ. თბილისი

5 ოქტომბერი 2023წ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 ოქტომბრის № 01-05-04/23 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტს შორის წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის განვითარების, სტუ-ის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დასავლურ აკადემიურ სივრცეში ჩართულობისა და საერთაშორისო ფორუმებზე ქართველი სტუდენტების მხარდაჭერისათვის-კალიფორნიის უნივერსიტეტის, ბერკლის **პროფესორს, დოქტორ ნიკლაუს ლარგიერს** მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **საპატიო დოქტორის წოდება.**
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**